

## კონსტიტუციური სამართლის ფინალური გამოცდის საკითხები

### კონსტიტუციური სამართლის დარგის დახასიათება, ცნება, რეგულირების საგანი.

კონსტიტუციური სამართალი საჯარო სამართლის ნაწილია. ის თავის მხრივ ორ დიდ დარგად იყოფა: სახელმწიფო მოწყობად და ადამინის უფლებებად. იგი დამფუძნებელი ხასიათისა მატარებელია, მიმართულია სახელმწიფოს ძირითადი კანონის - კონსტიტუციის მიმართ. კონსტიტუციური სამართალი ქვეყნის სამართლებრივი სისტემის საფუძველია. კონსტიტუციური სამართალი, როგორც სამართლის დარგი, არის ნორმების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას და მისი რეალიზაციის პროცესში აღმოცენებულ ურთიერთობებს.

ფართო გაგებით საქართველოს კონსტიტუციური სამართალი არეგულირებს:

1. საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც შეადგენს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების საფუძვლებს.
2. საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას.
3. საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.
4. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას
5. საარჩევნო სამართალსა და საარჩევნო სისტემას.
6. ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციურ ორგანოთა სისტემებს.
7. საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის წესსა და პრინციპებს.

კონსტიტუციური სამართლის ფარგლებში მოქცეულია ასევე სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა. კონსტიტუციით განმტკიცებულია სახელმწიფოს დამოკიდებულება საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების მიმართ.

სამართლებრივი რეგულირების მეთოდის მიხედვით, კონსტიტუციურ სამართალში გამოიყენება აკრძალვის მეთოდი, ანუ ამკრძალავი ნორმები, უფრო ხშირად მავალელებელი ნორმები, ასევე ნებადართველი ნორმები. სხვა დარგებისგან განხვავებით გამოიყენება იმპერატიულ-მბრძანებლობითი ზემოქმედების მეთოდი, ეს გულისხმობს ხელისუფლების პირდაპირ განხორციელებას, ანუ ავალდებულებს სუბიექტებს შეასრულონ მის მიერ დადგენილი ქცევის წესები.

კონსტიტუციური სამართლის პრინციპები არის ის ფუძემდებლური იდეები და საწყისები, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული სამართლის დარგის ძირითად არსსა და ხასიოს. მნიშვნელოვანია სამი ძირითადი პრინციპი: სახალხო სუვერენიტეტის, სახალხო წარმომადგენლობისა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.

## კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების აღმოცენებისთვის საკმარისი არაა მხოლოდ სამართლებრივი აქტები - კონსტიტუცია, კანონები და სხვა წყაროები. აუცილებელია კონსტიტუციურ-სამართლებრივი სუბიექტის, ობიექტისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების აღმოცენების საფუძვლების არსებობდა.

კონსტიტუციურ სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტს წარმოადგენენ ამ ურთიერთობათა მონაწილეები, რომლებსაც აქვთ კონსტიტუციურ სამართლის ნორმებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

ასევე კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობები არასდროს აღმოცენდება ორ მოქალაქესა და ფიზიკურ პირებს შორის. ერთ-ერთი მხარე აუცილებდა სახელმწიფო უნდა იყოს.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებია: სახელმწიფო, ხელისუფლება და ხალხი, ფიზიკური და იურიდიული პირები, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სახელმწიფოს ადმინისტრაციული და ავტონომიური ერთეულები, ფედერაციის სუბიექტები, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებები.

ამრიგად, კონსტიტუციური-სამართლის უმთავრესი სუბიექტი არის სახელმწიფო და მისი ორგანოები (პარლამენტი, პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მთავრობა).

შემდეგი უმნიშვნელოვანესი სუბიექტი არის ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც დემოკრატიულ სახელმწიფოში არის ხელისუფლების წყარო. ეს არის ხალხი, საარჩევნო კორპუსი, უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანი მოქალაქეები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხვერებაში.

მოქალაქეთა გაერთიანებები, განსაკუთრებით კი პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ კონსტიტუციურ-სამართლებრივი უბიექტების ასევე მნიშვნელოვან სუბიექტებს. პოლიტიკურ პარტიად მიჩნევა ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც გააჩნია საკუთარი სტრუქტურა და რომლის მიზანია სახელმწიფოს ხელისუფლების, სახელისუფლებო ძალაუფლების მოპოვება, შენარჩუნება და განხორციელება.

ქვეყნის ტერიტორიული ერთეულები - მართალი დღესდღეისობით ზუსტად არ არის რეგლამენტირებული მათი სამართლებრივი მდგომარეობა, თუმცა კონსტიტუციაში არსებობს პირდაპირი მითითება, კონსტიტუციური კანონი, ამის შესახებ - მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები - ქალაქის, სოფლის, დაბის საკრებულოები და გამგეობები.

ფიზიკური პირები - მოქალაქეები, უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, ანუ აპატრიდები.

## საქართველოს კონსტიტუციური სამართლის წყაროები

მატერილური გაგებით სამართლის წყარო არის ყველა ის სოციალური პირობა, საზოგადოებრივი გარემოება, არსებული მსოფმხედველობა თუ დოქტრინალური შეხედულებები, რომლებმაც გამოიწვიეს სამართლის ნორმის აღმოცენება და განაპირობეს მისი შინაარსი.

საქართველოს კონსტიტუციური წყაროებია: საქართველოს კონსტიტუცია, რეფერენდუმზე მიღებული აქტები, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, საქართველოს კანონები, კონსტიტუციური შეთანხმება, საქართველოს პარლამენტის აქტები, საქართველოს პრეზიდენტის აქტები და საქართველოს კანონქვემდებარე აქტები.

საქართველოს კონსტიტუცია ნორმატიული აქტების იერარქიაში პირველ ადგილზეა. ის არის ხალხის სახელმწიფოებრივი ნების უმაღლესი გამოხატულება, აქვს დამფუძნებელი ხასიათი და უმაღლესი იურიდიული ძალა.

კონსტიტუციური კანონი ნორმატიული აქტების იერარქიაში კონსტიტუციასთან ერთად პირველ ადგილზეა. კანონს აქვს კონსტიტუციური კანონის ფორმა ორ შემთხვევაში: საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრისას და კონსტიტუციის გადასინჯვისას.

ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ გვაქვს შემდეგი კანონები: საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ. ასევე მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ და მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ. რაც შეეხება კონსტიტუციის გადასინჯვას დღემდე 32 კონსტიტუციური კანონია მიღებული. კონსტიტუციური კანონის მიღებას სჭრიდება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/4.

საქართველოში ორგანული კანონი არეგულირებს არამხოლოდ ორგანოების საქმიანობასა და უფლებამოსილებას, არამედ ისეთ საკითხებსაც რომლების უფრო მნიშვნელოვანია და მის მისაღებად საჭიროდ მიიჩნის რთული საპარლამენტო პროცედურა. მაგალითად: სახელმწიფო სიმბოლიკის, მოქალაქეობის, უზენაესი სასამართლოს, საარჩევნო კოდექსის შესახებ. სულ 26 ორგანული კანონია მიღებული. მის მისაღებად საჭიროა სითითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.

კანონი - მას ხშირად ორდინალურს კანონს უწოდებენ, საკანონმდებლო აქტების ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მის მისაღებად საჭიროა დამსწრეთა უმრავლესობის მხარდაჭერა, თუმცა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედისა.

კონსტიტუციური შეთანხმება - მას ასევე კონკორდატსაც უწოდებენ. დადებულია საქართველოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას შორის 2002 წლს. იგი განსაზღვრავს მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივ მდგომარეობას ურთიერთობას სახელმწიფოსა და საზოგადოებასთან. მასში საუბარია საქართველოში ეკლესიის განსაკუთრებული ადგილზე და ასევე რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებაზე.

პარლამენტის რეგლამენტი განსაზღვრავს პარლამენტის სტრუქტურას, საქმიანობას, ურთიერთობას ხელისუფლების სხვა ინსტიტუტთან. მის ძალაში შესასვლელად საჭიროა არა პრეზიდენტის, არამედ პარლამენტის ხელმოწერა.

პრეზიდენტის დეკრეტი კანონის ძალის აქტია რომელსაც იგი იღებს საომარი ან საგანგებო სიტუაციების დროს. თუმცა ეს არ არის დისკრეციული აქტი, გამოცემის შემდეგ ვალდებულია დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია პრეზიდენტის ბრძანებულებები, პარლამენტის დადგენილებები, მტავრობის დადგენილება, ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება და სხვა. ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იერარქობრივად მის მაღლა მყოფ ნორმატიულ აქტებს.

## **კონსტიტუციის ცნება, ფუნქციები სახეები**

კონსტიტუცია ლათინური სიტყვაა და დადგენას დაფუძნებას, დამყარებას ნიშნავს. თავდაპირველად ეს სიტყვა რომის იმპერატორის სამართლებრივ აქტად მოიაზრებოდა. ხოლო ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქიდან ის ქვეყნის უზენაეს კანონთან ასოცირდება. კონსტიტუცია დამფუძნებელი ხაიათის დოკუმენტია, რადგან ქმნის მართლწესრიგს და ის მთელი სამართლებრივი სისტემის საფუძველია. კონსტიტუცია არის განსაკუთრებული წესით მიღებული უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც არეგულირებს საზოგადოებაში პიროვნების სამართლებრივ მდგომარეობას, საჯარო ხელისუფლების ორგანიზაციასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

კონსტიტუცია შედგება პრეამბულასგან, სადაც მოცემულია კონსტიტუციის მიღების მიზნები და ამოცანები, ძირითადი დებულებისგან, სადაც თავმოყრილია ფუნდამენტალური ნორმები და პრინციპები და გარდამავალი დებულებებისგან, სადაც რეგლამენტირებულია დროებითი საკითხები, რომლებიც დაუყოვნებლივად მისაღები.

გამოყოფენ კონსტიტუციის სამი უმთავრესი ფუნქციას: სამართლებრივი, პოლიტიკური და იდეოლოგიური ფუნქციები.

კონსტიტუციის სამართლებრივი ფუნქციაა მოაწესრიგოს სახელმწიფოს ძირითად ორგანოთა და ინსტიტუტთა ურთიერთობები, შექმნას სახელმწიფოს ერთიანი სამართლებრივი სისტემა და მართლწესრიგი.

პოლიტიკური ფუნქცია გულისხმობს იმას, რომ კონსტიტუცია უზრუნველყოფს სახელმწიფოს პოლიტიკურ მოწყობასა და ქვეყანაში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობას, ასევე წესრიგსა და სამოქალაქო მშვიდობას.

კონსტიტუციის იდეოლოგიური ფუნქცია ვლინდება მის იდეებსა და პრინციპებში. კონსტიტუციაში აისახება მისი დამფუძნებლების, ხალხის მსოფლმხედველობა, საზოგადოების მთავარი ღირებულებები და ზნეობრივი ფასეულობები (დემოკრატია, ადამინის უფლებების პატივისცემა და სხვა).

შესაძლებელია კონსტიტუციის კლასიფიკაცია მისი საერთო ნიშნების საფუძველზე.

დროში მოქმედების მიხედვით კონსტიტუციაა ან დროებითია ან მიღებული განუსაზღვრელი ვადით. მმართველობის ფორმის მიხედვით განასხვავებენ რესპუბლიკურ და მონარქიულ კონსტიტუციებს. ტერიტორიული მოწყობის მიხედვით არსებობს ფედერალური და უნიტარული კონსტიტუცია. მიღების წესის მიხედვით განასხვავებენ უშუალოდ ხალხის მიერ რეფერენდუმზე მიღებულ კონსტიტუციას, სპეციალურად ამისთვის შექმნილი ორგანოს მიერ მიღებული და მონარქის მიერ ნაბოძებ კონსტიტუციას თავისი ქვეშევრდომებისთვის ან კოლონიებისთვის. ფორმის მიხედვით განასხვავებენ დაწერილ და დაუწერელ კონსტიტუციებს. ასევე კოდიფიცირებული (სისტემატიზებული) - რომელიც ერთი სამართლებრივი აქტია ან არაკოდიფიცირებული (არასისტემატიზებული) - რომელიც შედგება რამდენიმე თანაბარმნიშვნელოვანი აქტისგან. და განასხვავებენ მყარ და მოქნილ კონსტიტუციას. მყარია თუ ცვლილებების შტანის მექანიზმი გართულებულია, სჭირდება სპეციალური პროცედურა და დიდი კვორუმი. ხოლო მოქნილი ცვლილებების მარტივ პროცედურას ითვალისწინებს.

## **1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და მისი მნიშვნელობა**

საქართველოში კონსტიტუციური იდეების განხორციელება XIX-XX საუკუნის მიჯნაზე იწყება. საქართველოში კონსტიტუციონალიზმის დამკვიდრების მიზანი იყო სახელმწიფოებრიობა, მისი აღდგენისა და დამოუკიდებლობის სურვილი, საქართველოს თავისუფალი განვითარება. სამართლებრივი მოდერნიზაცია კონსტიტუციონალიზმის ფარგლებში იყო ერთადერთი გზა ფორმალურად მოპოვებული დამოუკიდებლობის იურიდიული გაფორმებისთვის.

1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს აქვს დეკლარაციული ხასიათი. მასში მოკლედაა გადმოცემული საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების ისტორია, იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება და დამოუკიდებელი განვითარების სურვილი.

შემდეგ კი მასში განხილულია შვიდი ზოგადი პუნქტი.

დამოუკიდებლობის აქტის პირველი პუნქტი საქართველოს აცხადებს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ანუ განსაზღვრავს მის სამართლებრივ სტატუსს, მისი იურისდიქციის ფარგლებსა და მოცულობას. ასევე ქართველ ხალხს აღიარებს სუვერენული უფლების მატარებლად. ეს პუნქტი მომავალშიც აისახა როგორც 1921 წლის ისე 1991 წლის კონსტიტუციაში: „საქართველოში ხელისუფლების მთავარი წყაროა ხალხი“.

აქტის მეორე პუნქტი განსაზღვრავს საქართველოს პოლიტიკურ წყობასა და მმართველობის ფორმას, ესაა რესპუბლიკა მმართველობის დემოკრატიული რეჟიმით, ეს პუნქტიც აისახა 1921 წლისა და 1991 წლის კონსტიტუციებში.

მესამე პუნქტის მიხედვით საერთაშორისო ომიანობის პირობებში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა. თუმცა სახელმწიფოსთვის ნეიტრალიტეტის მინიჭება მხოლოდ ცალმხრივი განცხადებით არ შეიძლება. ეს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მინიჭებული სამართლებრივი სტატუსია. და რადგან არ არსებობს სხვა მტკიცებულება საქართველოს ნეიტრალიტეტისა ეს პუნქტი თავისი შინაარსით დეკლარაციული ხასიათისაა, ხოლო დანარჩენი ნორმატიული ხასიათის.

მე-4 პუნქტის მიხედვით საქართველოს სურს კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს საელტაშორისო ურთიერთობების ყველა წევრთან და განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. ამ პუნქტით ზოგადად განისაზღვრა საქართველოს საგარეო მიმართულება.

დამოუკიდებლობის აქტის მე-5 და მე-6 პუნქტები კონსტიტუციის მთავარი არსის - თანასწორობის პრინციპზეა საუბარი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. და მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ერს უხსნის განვითარების თავისუფალ ასპარეზს.

ბოლო, მე-7 პუნქტი განსაზღვრავდა ქვეყნის დროებით ხელისუფლებას და მმართველობის ორგანოებს, რომლებსაც დამფუძნებელი კრების მოწვევამდე უნდა უქრუნველყოთ ქვეყნის მართვა გამგეობა. ესენია ეროვნული საბჭო და დროებითი მთავრობა.

ეროვნული საბჭო ეს არ იყო საარჩევნო პრინციპით არჩეული ორგანო. ის აირჩა 1917 წელს ნაციონალური საბჭოს ყრილობაზე. ეს იყო პირველი ქართული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. რომელმაც 1919 წლამდე იარსება და შემდეგ მოწვეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრება.

საქართველოს დამოუკიდებლობის ამ აქტს გარდა დეკლარაციული ხასიათისა აქვს ნორმატიული ხასიათი და კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბუნება. ეს აქტი 1921 წლამდე ასრულებდა ქვეყნის მთავარი კანონის როლს. ამიტომ სწორე ეს აქტი ითვლება საქართველოში კონსტიტუციონალიზმის ათვლის წერტილად.

### **საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, ზოგადი დახასიათება (მმართველობის მოდელი)**

ჯერ კიდევ 1918 წლის 6 ივნისს საქართველოს ეროვნული საბჭო ქმნის “საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლების შემდგენ კომისიას“ რომელმაც იარსება 10 თვის განმავლობაში საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველ მოწვევამდე, რომელიც შედგა 1919 წლის 12 მარტს, მესამე სხდომაზე შეიქმნა ახალი საკონსტიტუცია კომისია, კონსტიტუციის პროექტის შემუშავება ხანგრძლივად გრძელდებოდა, თითქმის 2 წელიწადი. დამფუძნებელი კრება კონსტიტუციის პროექტის განხილვას შეუდგა 1921 წლის 21 ივნისს.

1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია შედგება 17 თავისა და 149 მუხლისგანა

პირველი თავი განამტკიცებს კონსტიტუციური წყობილების პრინციპებს, პირველივე მუხლი აცხადებს საქართველოს თავისუფალ, დამოუკიდებელ, განუყოფელ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ მართველობის რესპუბლიკური ფორმით. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კონსტიტუციის მე-6 მუხლი, რომელიც კატეგორიულად კრძალავს საქართველოს ტერიტორიის გაცემას და დანაწილებას, ისე მის გაყიდვას. მე-8-11 მუხლი ეძღვნება კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპს.

მეორე თავი შეეხება მოქალაქეობის საკითხებს, კერძოდ განსაზღვრულია საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების წესი, მოცემულია მოქალაქეობის შეწყვეტის ზოგადი საფუძვლების, ორმაგი მოქალაქეობის აკრძალვა. სრულყოფილია უმნიშვნელოვანესია მესამე თავის ადამიანის უფლებები. უნაკლოდ არის წარმოჩენილი პიროვნების უმთავრესი ღირებულება- სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება, უპირობოდ გაუქმდა სიკვდილით დასჯა. სიტყვის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, თავისუფალი მიმოსვლა- ბინადრობის არჩევა, რწმენიდა, აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლება. 1921 წლის კონსტიტუციაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს და მათ კონსტიტუციურ გარანტიებს.

1921 წლის კონსტიტუციი გათვალისწინებული მმართველობის მოდელი არის ერთგვარი საპარლამენტო რესპუბლიკა. ეს არ არის კლასიკური საპარლამენტო მოდელი, თუნდაც იმის გამო, რომ არ არსებობს ნეიტრალური ფიგურა - სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტი სახით, რომელიც შესაბამის შემტხვევაში ან დაითხოვდა პარლამენტს ან გადააყენებდა მთავრობის

მთელ შემადგენლობას. ეს უფრო იყო კვიზისაპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი. ასევე ამ კონსტიტუციაში სუსტადაა წარმოდგენილი ძალაუფლების გამიჯვნა და გაუთვალისწინებელია შეაკავებისა და გაწონასწორების მექანიზმი. კონსტიტუციის 73-ე მუხლის თანახმად გათვალისწინებულია პარლამენტის უნდობლობის ვოტუმი, მაგრამ არა მტავრობის, არამედ მთავრობის ცალკეული წევრის მიმართ, რადგან მთავრობის თითოეული წევრი დამოუკიდებლად აგებდა პასუხს პარლამენტის წინაშე.

1921 წლის კონსტიტუციის საპარლამენტო რესპუბლიკაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ კონსტიტუცია აშკარად ანიჭებს პრიმატს საქართველოს პარლამენტს. პარლამენტი კონსტიტუციის პირობებში ახორციელებს ერიოს ხელმწიფებას. მტავრობის წევრი იმავდროულად შეიძლება ყოფილიყო პარლამენტის წევრიც (დამახასიათებელია საპარლამენტოსთვის) პარლამენტი ახორციელებს საერთო კონტროლს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე.

ამრიგად, საქართველოს წარმომადგენლობით ორგანო იყო საქართველოს პარლამენტი, რომელიც აირჩეოდა 3 წლის ვადით, საყოველთაო არჩევნებით, საქართველოს მოქალაქეები მიერ 20 წლის ასაკიდან.

1921 წლის კონსტიტუციით საქართველოს პარლამენტს ჰქონდა შემდეგი უფლებამოსილებები: საკანონმდებლო, უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა; ომის გამოცხადება; საზავო, სავაჭრო ხელისუფლების განმტკიცება უცხო სახელმწიფოებთან; ამნისტია; ბიუჯეტის დამტკიცება; საშინაო და საგარეო სესხის აღება; თანამდებობის პირთა არჩევა, კონსტიტუციით ან კანონით მიკუთვნებული; აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ენიჭებოდა ორ სუბიექტს: პარლამენტის თითოეულ წევრსა და 5000 ამომრჩეველს. პარლამენტი ყოველ წელს ირჩევდა თავის ხელმძღვანელ ორგანოს პრეზიდიუმს. მე-5 თავში აღწერილი იყო აღმასრულებელი ხელისუფლების შექმნა და მისი კომპეტენცია. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთნებოდა მტავრობას, რომელსაც ხელმძღვანელობდა მთავრობის თავმჯდომარე, აირჩეოდა 1 წლის ვადით.

საქართველოს მტავრობის პირველი თავმჯდომარე იყო ნოე ჟორდანი.

კონსტიტუციის თანახმად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებობდა ერთი უმაღლესი სამამალრთლო - სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი. ის ასრულებდა საკასაციო ფუნქციას, ანუ პირველი ინსტანციის საქმეებს ია არ განიხილავდა.

აღსანიშნავია ის რომ კონსტიტუცია იტვალისწინებდა ნაფიცმსაჯულთა მონაწილეობას მძიმე სისხლის სამართლის, პოლიტიკურ და ბეჭდვით დანაშაულის საქმეებზე.

ასევე კონსტიტუციაში ასახულია ადგილობრივი თვითმართველობა რომელიც აირჩეოდა საყოველთაო პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.



1921 წლის კონსტიტუციაში გათვალისწინებული იყო ასევე ავტონომიური მმართველობა. საქართველო იყო ე.წ. დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოს კონცეფცია. ამ კონცეფციის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს - აფხაზეტს, სამუსლიმანო საქარტველოსა და ზაქათალას მიენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.

მიუხედავად ხარვეზებისა 1921 წლის კონსტიტუცია რჩება სახელმწიფოებრიობის განვითარების უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ დოკუმენტად. ის ადასტურებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის ურღვევობასა და განუყოფლობას, განსაზღვრავდა მის ტერიტორიულ შემადგენლობასა და აღიარებდა იმ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რომლებიც საქარტველოს მიაკუთნებდა ცივილიზებულ სახელმწიფოს.

### **საქართველოს კონსტიტუციის სტრუქტურა**

საქართველოს კონსტიტუცია ძირითადად სამი ნაწილისგან შედგება: პრეამბულა, ძირითადი დებულებები და გარდამავალი დებულებები.

პრეამბულა წინ უძღვის ძირითად ტექსტს. მასში ჩამოყალიბებულია კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები, მიზნები და ამოცანები. მეცნიერთა დიდი ნაწილი პრეამბულას დეკლარაციულ მნიშვნელობას ანიჭებს, რომელიც კონსტიტუციის სულისკვეთების გაგებაში გვეხმარება.

ძირითად დებულებებში მოცემულია ფუნდამენტალური ნორმები და პრინციპები: სახელმწიფო მოწყობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების უმნიშვნელოვანესი საკითხები.

გარდამავალ დებულებებში მოცემულია კონსტიტუციის ამოქმედებასთან, გარდამავალ პერიოდთან, სხვა ნორმატიული აქტების მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები.

კონსტიტუციის ძირითადი ტექსტი 9 თავისა და 109 მუხლისგან შედგება. მოგვანებით დაემატა 2 ტავი და რამდენიმე მუხლი. მისი სტრუქტურა ასე გამოიყურება: I-ზოგადი დებულებები, II- საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, III- საქართველოს პარლამენტი, IV- საქართველოს პრეზიდენტი, IV2- საქართველოს მთავრობა, V- სასამართლო ხელისუფლება, VI- სახელმწიფო ფინანსები და კონტორლი, VII- სახელმწიფო ტავდაცვა, VII2- ადგილობრივი თვითმმართველობა, VIII კონსტიტუციის გადასინჯვა, IX- გარდამავალი დებულებები. ეს კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1995 წლის 24 აგვისტოს.

## საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის წესი, 2010 წლის ცვლილებები

კონსტიტუცია ცოცხალი, დინამიკური დოკუმენტია, რომელშიც საზოგადოების მორალური და პოლიტიკური ღირებულებები აისახება. ეს ღირებულებები დროთა განმავლობაში იცვლება და შესაბამისად კონსტიტუციაც ითვალისწინებს მისი გადასინჯვის წესსა და საფუძვლებს. გადასინჯვის საჭიროება შეიძლება განპირობებული იყოს საზოგადოებრივი ძვრებით, პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის შეცვლით, მმართველი პოლიტიკური ძალის ან ქარიზმატული ლიდერის ამბიციით.

კონსტიტუციის გადასინჯვის ინიცირების უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს ან 200 000 ამომრჩეველს.

გადასინჯვის ფარგლების მიხედვით ხორციელდება სრული ან ნაწილობრივი გადასინჯვა.

კანონპროექტი წარედგინება პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს კანონპროექტს და დადგენილებით ქმნის კომისიას საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის. ეს პროცესი ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობს, შემდეგ კი განიხილავს პარლამენტი. კონსტიტუციაში ცვლილებები შედის კონსტიტუციური კანონის გზით, რომლის დაჩქარებული ან გამარტივებული წესით საპარლამენტო განხილვა დაუშვებელია.

კანონპროექტის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3 მაინც, საგანგებო ან საომარი ვიტარება აჩერებს კანონპროექტის განხილვას. 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედების შედეგად ასევე იცვლება კონსტიტუციის გადასინჯვის წესიც, უნდა განიხილოს ორ თანმიმდევრულ სესიაზე სულ ცოტა სამი თვის ინტერვალით და მის მისაღებად საჭიროა სრული შემადგენლობის 3/4 მხარდაჭერა.

2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური რეფორმა მიზნად ისახავდა საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ეფექტური საკონსტიტუციო მოდელის ჩამოყალიბებას. არსებითად შეიცვალა სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელი. ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკაზე ორიენტირებულ რეჟიმზე გადავიდა. ეს იყო ა. დემეტრაშვილი პროექტი, რომელიც წარმოადგენდა შერეული მმართველობის მოდელს, სადაც ჭარბობდა საპარლამენტო მმართველობის ელემენტები. თუმცა იგი ჯერ ძალაში არ შესულა, ის ამოქმედდება საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან. კონსტიტუციური რეფორმის დროს გათვალისწინებულ იქნა ბერლინის კონფერენციისა და ვენეციის კომისიის დასკვნები.

ამ რეფორმით სუსტდება პრეზიდენტის როლი სახელმწიფო ხელისუფლებაში და იზრდება მტავროპის უფლებები. საქართველოს პრეზიდენტს ჩამოერთვა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. მას აღარ ექნება უფლება დანიშნოს ან გადააყენოს პრემიერ-მინისტრი, მთავრობა. ასევე ის აღარ ნიშნავს გუბერნატორებს და მისი სამართლებრივ აქტებს სჭრიდება კონტრასიგნაცია.

ასევე კონსტიტუციას დაემატა მე-7 პრიმა ტავი ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ, რომელშიც განმტკიცებულია თვითმართველობების ორგანოების ფორმირება ზედამხედველობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტიები.

## **როგორც სახელმწიფო მმართველობის მოდელები**

მონარქია ბერძნული სიტყვაა მონო ნიშნავს ერთს, არხე – ხელისუფლებას, ანუ ნიშნავს ერთის მმართველობას, ერთის ხელისუფლებას. მონარქია არის მმართველობის ისეთი ფორმ, სადაც სახელმწიფოს მეთაურის ხელისუფლება არ არის ხალხის მიერ არჩეული. მონარქი ხელისუფლებას იღებს მემკვიდრეობით და ძირითად შემთხვევაში, თავად მიიჩნევა მთელი სახელმწიფო ხელისუფლების წყაროდ.

განასხვავებენ აბსოლიტურ, დუალისტურ და საპარლამენტო (კონსტიტუციურ) მონარქიებს.

აბსოლიტური მონარქიის დროს ხელისუფლების სამივე შტო მონარქის ხელშია. ასეც სახელმწიფოებში არ არსებობს არც კონსტიტუცია და არც არჩევითი ორგანოები. მთავრობა კი მეფის ოჯახის წევრებისგან შედგება. ასევე მონარქი მიიჩნევა უმაღლეს სასულიერო პირად (საუდის არაბეთი, ბაჰრეინი).

დუალისტურ მონარქიაში სუსტად, მაგრამ მაინც, არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების დაყოფა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებად, ხოლო სასამართლო სისტემას ძირითადად მონარქი ახორციელებს. დუალისტურ მონარქიაში ერთგვარი „ორხელისუფლებიანობა“ (მაროკო, იორდანია) ფორმალურად გადანაწილებულია მონარქსა და პარლამენტს შორის, თუმცა აშკარად მონარქის სასარგებლოდ.

კონსტიტუციური მონარქია ჰგავს საპარლამენტო რესპუბლიკებს. განსხვავება ისაა, რომ სახელმწიფოს მეთაური არა გარკვეული ვადით არჩეული პრეზიდენტი, არამედ მონარქია, რომლის ხელისუფლებაც მემკვიდრეობით გადადის. მონარქი არის ქვეყნის ერთიანობის სიმბოლო და მას აქვს ცერემონიული როლი. მისი აქტები ძალაში შედის პრემიერ-მინისტრის ან მინისტრის თანახემოწერის შემდეგ.

რესპუბლიკაში ხელისუფლების წყარო ხალხია. ამიტომ მიიჩნევენ მას ყველაზე დამოკრატულ მმართველობის ფორმად. რესპუბლიკური მმართველობა ეფუძნება ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპს და განასხვავებს ხელისუფლების სამ დამოუკიდებელ შტოს: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. ძალაუფლების განაწილების მიხედვით გამოყოფენ რესპუბლიკური მმართველობის საპრეზიდენტო, საპარლამენტო და შერეულ ფორმებს.

საპრეზიდენტო რესპუბლიკის კლასიკური მაგალითი ამერიკის შეერთებული შტატებია. პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი ან ირიბი არჩევნებით. პრეზიდენტი არის შეიარაღებული

ძალების მთავარსარდალი, და ხშირ შემთხვევაში თვითონ წარმოადგენს მტავრობას, მინისტრები კი მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე არიან პასუხისმგებელნი.

საპარლამენტო რესპუბლიკას მიეკუთვნება იტალია, გერმანია და სხვა. აქ ხელისუფლების წამყვანი შტო პარლამენტია. საპარლამენტო რესპუბლიკაში მტავრობის ფორმირება ხდება პარლამენტის მიერ და პარლამენტის საფუძველზე. მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. მას შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს მტავრობას და პრეზიდენტი მხოლოდ კონსტანტაციას მოახდენს.

რესპუბლიკური მმართველობის შერეული ფორმისთვის დამახასიათებელია საპრეზიდენტო მოდელიდან გაზიარებული საყოველთაო წესით არჩეული პრეზიდენტის მნიშვნელოვან უფლებათა ფართო სპექტრი, ხოლო საპარლამენტო მმართველობიდან - პრეზიდენტის უფლება დაითხოვოს პარლამენტი და პარლამენტის უფლება მიიღოს მონაწილეობა მთავრობის ფორმირებაში. მმართველობის ეს ფორმა დამახასიათებელი საფრანგეთისთვის. მმართველობის შერეული ფორმის დროს თუ პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა ერთ პოლიტიკურ სპექტრს წარმოადგენს, მმართველობა ნახევრადსაპრეზიდენტოა, თუ განსხვავებულ პოლიტიკურ ძალებს - მმართველობა ნახევრადსაპარლამენტოა. მმართველობის ეს მოდელი მიმზიდველი აღმოჩნდა პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის, თუმცა არამდგრადი პოლიტიკური სიტუაციის გამო უფრო რეზიდენციალიზმისკენ გადაიხარა და ფუნქციონირებს როგორც ე.წ. სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკა.

## **ტერიტორიული მოწყობა**

სახელმწიფოს ტერიტორიაული მოწყობა გულისხმობს სახელმწიფოში ცენტრსა და მის ტერიტორიულ ერთეულებს შორის ძალაუფლების გამიჯვნის განსაზღვრას.

პოლიტიკურ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით განასხვავებენ უნიტარულ და ფედერაციულ სახელმწიფოებს.

უნიტარიზმი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან unus და ნიშნავს მოძრაობას, რომელსაც მიყვარათ ერთიანობისკენ. უნიტარული სახელმწიფო იყოფა ტერიტორიულ ერთეულებად, რომელთა უფლებამოსილებაც ადმინისტრაციული ფუნქციებით შემოიფარგლება.

უნიტარული სახელმწიფო არის განუყოფელი, ის არ ცნობს ტერიტორიული ერთეულების პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. უნიტარულ სახელმწიფოში მოქმედებს ერთი საერთო კონსტიტუცია, კანონმდებლობა, სასამართლო ხელისუფლება, მმართველობის ერთიანი სისტემა, ერთიანი მოქალაქეობა და საგადასახადო სისტემა.

უნიტარიზმის დროს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს ცენტრალური ხელისუფლება. ის ადგენს ტერიტორიული ერთეულების რაოდენობას და მათ გამგეობის მიკუთვნებულ კომპეტენციას.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ ხოერციელდება ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის პირდაპირი ან ირიბი კონტროლი.

უნიტარული სახელმწიფო შეიძლება იყოს დეკონცენტრაცია. რაც გულისხმობს ხელისუფლების მიერ გარკვეული უფლებამოსილების გადაცემას მისდამი სტრუქტურულად დაქვემდებარებული ადგილობრივი ორგანოების მიერ.

დეცენტრალიზაციის დროს უფლებამოსილება გადაეცემა ადგილობრივ ორგანოს, რომელიც არის არა სტრუქტურულად დაქვემდებარებული ერთეული, არამედ ყალიბდება გარკვეული ავტონომიის მქონე, სტრუქტურულად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით. დეცენტრალიზაციის ერთ-ერთი გამოხატულებაა ადგილობრივი თვითმართვლობა.

ფედერალიზმი არის რთული საკავშირო სახელმწიფო, რომელიც შედგება ქვესახელმწიფოებრივი წარმონაქმნისგან. ფედერაციული სახელმწიფო უმსხვილესი ტერიტორიული ერთეულების ფედერაციის სუბიექტებისგან შედგება. ისინი წარმოადგენენ კვაზისახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, სარგებლობენ არამხოლოდ ადმინისტრაციული უფლებებით, არამედ განსაზღვრული პოლიტიკური ავტონომიით. თუმცა ფედერაციის სუბიექტებს არ გააჩნიათ სეცესიის (სახელმწიფოსგან გამოყოფის) უფლება.

არსებობს სიმეტრიული და ასიმეტრიული ფედერალიზმი. სიმეტრიის დროს ფედერაციის სუბიექტები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, ხოლო ასიმეტრიულიდ დროს სუბიექტებს აქვთ განსხვავებული სამართლებრივი სტატუსი და განსხვავებული უფლებებით სარგებლობენ.

ფედერაციის სუბიექტის კვაზისახელმწიფოებრივი ბუნება ვლინდება შემდეგი ნიშნებით: სუბიექტს აქვს საკუთარი კონსტიტუცია, პარლამენტი და მთავრობა ასევე სასამართლო სისტემა. ფედერაციის სუბიექტს ასევე აქვს თავისი სიმბოლიკა. ფედერალურ სახელმწიფოს არ აქვს უფლება პირდაპირი სახით ჩაერიოს ფედერაციული სუბიექტის ხელისუფლების ფორმირებაში. ფედერაციის სუბიექტის ხელისუფლება არ არის პასუხისმგებელი ფედერალური ხელისუფლების წინაშე.

## **ხელისუფლების დანაწილების პრინციპი**

ძალაუფლების გამიჯვნის კლასიკური მოდელი მონტესკიეს სახელს უკავშირდება, რომელმაც გაითვალისწინა თავისი წინამორბედი მეცნიერების და იურისტების, ჰობსის, ლოკის მოსაზრებები და ჩამოაყლიბა ხელისუფლების დანაწილების დღევანდელი კონცეფცია. მონტესკიეს დაუშვებლად მიაჩნდა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ერთი პირის ქვეშ გაერთიანება, მით უმეტეს მისთვის სასამართლო

უფლებამოსილების მინიჭება. მონტესკიეს აზრით „ძალაუფლება უნდა აკავებდეს ძალაუფლებას“

ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის შესაბამისად, სახელმწიფო ძალაუფლება განაწილებულია ხელისუფლების სამ შტოზე: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. მათგან თითოეულს აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება: საკანონმდებლო ქმნის, აღმასრულებელი აღასრულებს, ხოლო სასამართლო უფარდებს (იყენებს) კანონს.

ძალაუფლების გამიჯვნის თეორია სამი უმთავრესი პრინციპისგან შედგება: ფუნქციების (უფლებამოსილებების) გამიჯვნა, ინსტიტუციონალური გამიჯვნა, შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმი.

ფუნქციური გამიჯვნის თანახმად, აუცილებელია, ხელისუფლების შტოებს შორის უფლებამოსილებების განაწილება, ისე რომ ერთი შტოს კომპეტენცია მეორეში არ იჭრებოდეს. ინსტიტუციონალური გამიჯვნის მიხედვით, სავალდებულოა ხელისუფლების თითოეულ შტოს კონკრეტული ორგანო წარმოადგენდეს (მაგ., საკანონმდებლოს - პარლამენტი).

შეკავებისა და გაწონასწორების სისტემის მიხედვით ხელისუფლების შტოებს შორის არამხოლოდ ძალაუფლება უნდა გადანაწილდეს, არამედ თითოეულ მათგანს მიეცეს საშუალება, აკონტროლოს დანარჩენები. მაგ, პარლამენტი უფლებამოსილია ნდობა-უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას, იმპიჩმენტის წესით გადააყენოს პრეზიდენტი, თავის მხრივ პრეზიდენტი შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი და ა.შ.

განასხვავებენ ძალაუფლების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ გამიჯვნას. ჰორიზონტალური გამიჯვნის მიხედვით, სახელმწიფო ძალაუფლება ნაწილდება ხელისუფლების შტოებს შორის, ხოლო ვერტიკალურის შემთხვევაში - ძალაუფლება გამიჯნულია სახელმწიფოს ცენტრალურ და ტერიტორიულ, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს შორის.

ამრიგად, ხელისუფლების დანაწილება სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობისა და ფუნქციონირების ისეთი წესების ერთობლიობაა, რომელიც გამორიცხავს თვითნებობას მმართველთა მხრიდან და ანარქიას მართულთა მხრიდან.

## **არჩევნების სახეები**

არჩევნები არის ამომრჩევლის მიერ თავისი ნების გამოხატვა, რის შედეგადაც ამომრჩეველი ზეგავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებზე. არჩევნები გულისხმობს სახელმწიფო და

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა შექმნისა და თანამდებობის პირთა არჩევის პროცედურას, რომელიც კენჭისყრის მეშვეობით უფლებამოსილი პირები ახორციელებენ.

განსხვავებული საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით შესაძლებელია შემდეგი სახის არჩევნების გამოყოფა:

ასარჩევი ორგანოსა და თანამდებობის პირის მიხედვით არსებობს საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნები.

არჩევნების ორი ძირითადი სახე არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირია არჩევნები, როდესაც ამომრჩეველი უშუალოდ ირჩევს ირჩევს სასურველ კანდიდატს, ამლევს ხმას უშუალოდ დასაკავებელი თანამდებობის კანდიდატს, ამომრჩეველსა და კანდიდატს შორის არ არსებობს არანაირი შუალედური რგოლი.

არაპირდაპირია არჩევნები, როდესაც ამომრჩეველსა და კანდიდატს შორის არის შუალედური რგოლი, ამ შემთხვევაში სასურველი კანდიდატის არჩევის საკითხს წყვეტს არა უშუალოდ ამომრჩეველი, არამედ მათ მიერ არჩეული პირები. არაპირდაპირი არჩევნები თავის მხრივ იყოფა ირიბ და მრავალსაფეხურიან არჩევნებად.

ირიბი არჩევნების დროს იქმნება სპეციალური ჯგუფი ან საბჭო, რომელიც უშუალოდ ამომრჩეველის სახელით და მისი ნების გათვალისწინებით, ირჩევს კონკრეტულ თანამდებობის პირს. (მაგალითად აშშ-ს პრეზიდენტი აირჩევა ამომრჩეველების მიერ არჩეული 538 წევრიანი ორგანოს მიერ.) ხოლო მრავალსაფეხურიანი არჩევნებისას ამომრჩეველის ნებას გამოხატავს მუდმივმოქმედი ორგანო. მაგალითად, იტალიის პრეზიდენტი აირჩევა იტალიის პარლამენტის მიერ.)

პერიოდულობის მიხედვით, არსებობს საყოველთაო, შუალედური, მორიგი და რიგგარეშე არჩევნები. საყოველთაო არჩევნები, როდესაც მასში მონაწილეობას იღებს ქვეყნის ყველა ამომრჩეველი. მაგ., საპრეზიდენტო ან ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტის არჩევნები. შუალედურია არჩევნები, რომლითაც საკანონმდებლო ან წარმომადგენლობითი ორგანოების ნაწილობრივი განახლება ხდება, ანუ უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე წევრების გამოკლების შემთხვევაში ხდება ახალი წევრებით ჩანაცვლება.

მორიგი არჩევნები ტარდება არჩევითი ორგანოს ან თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემთხვევაში. რიგგარეშე არჩევნები ტარდება ასარჩევ ორგანოსა ან თანამდებობის პირის ვადამდე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში.

ჩატარების ტერიტორიის მიხედვით, არჩევნები იყოფა ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ არჩევნებად. ეროვნულია არჩევნები, რომელიც ქვეყნის ხელისუფლების ასარჩევად მთელ ტერიტორიაზე ტარდება. რეგიონული არჩევნები ქვეყნის შიგნით, კონკრეტულ რეგიონში ტარდება, ხოლო ადგილობრივი არჩევნები ადმინისტრაციულ-

ტერიტორიულ ერთეულში, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს არჩევის მიზნით ტარდება.

## საარჩევნო სისტემები

საარჩევნო სისტემა გულისხმობს არჩევნების ზოგად წესებსა და პრინციპებს, რომლის მეშვეობითაც ამომრჩევლეთა ხმები გადაიყვანება მანდატებში. გამოყოფენ მაჯორიტარულ, პროპორციულ და შერეულ საარჩევნო სისტემებს.

მაჯორიტარული საარჩევნო სისტემა დაფუძნებულია უმრავლესობის პრინციპზე, ამ სისტემის მიხედვით, კანდიდატი ან პოლიტიკური პარტია, რომელიც მიიღებს ამომრჩევლების ხმათა უმრავლესობას, მოიპოვებს მანდატს ან ამ ოლქში ასარჩევი ყველა დეპუტატის მანდატს. მაჯორიტარული საარჩევნო სისტემა სახეობა: ფარდობითი, აბსოლიტური და კვალიფიციური მაჯორიტარული სისტემები.

ფარდობითი მაჯორიტარული საარჩევნო სისტემის მიხედვით, არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც ცალკე აღებულ ყველა მოწინააღმდეგეზე მეტ ხმას მიიღებს. ამ სისტემის უპირატესობა არის ის, რომ ყოველთვის იარსებებს კანდიდატი რომელიც სხვებთან შედარებით მეტ ხმას მიიღებს და გამოირიცხება მეორე ტურის საჭიროების ალბათობა. ხოლო უარყოფითად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ შესაძლებელია რეალურად პარტიამ მოიპოვოს უმრავლესობა, მაშინ როდესაც მათ მხარს არ უჭერ ამომრჩევლეთა უმრავლესობა, ადგილი აქვს ხელისუფლების დაბალ ლეგიტიმაციას.

აბსოლიტური უმრავლესობის მაჯორიტარული საარჩევნო სისტემის მიხედვით, რომელსაც ხშირად ფრანგულს უწოდებენ, არჩეულად იტვლება ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა ამომრჩეველთა აბსოლიტურმა უმრავლესობა, ანუ ამომრჩევლთა ნახევარზე მეტმა (50%+1). ამ სისტემის უპირატესობა არის ის, რომ არჩეულ კანდიდატს აქვს ამომრჩეველთა უმრავლესობის მხარდაჭერა, მაღალი ლეგიტიმაცია.

კვალიფიციური უმრავლესობის მაჯორიტარული სისტემის დროს არჩეულად იტვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმების კვალიფიციურ უმრავლესობას. კვალიფიციური ხმების უმრავლესობა დგინდება კანონის მიერ და ხმების აბსოლიტურ უმრავლესობაზე ყოველთვის მეტია, ხშირ შემთხვევაში ის ამომრჩევლეთა ხმების ორ მესამედს, სამ მეოთხედს ან სამ მეხუთედს შეადგენს. კვალიფიციური უმრავლესობის მაჯორიტარული სისტემა, როგორც წესი, იშვიათად გამოიყენება და უმეტეს შემთხვევაში მეორე ტური გარდაუვალია.

მაჯორიტარული სისტემა განაპირობებს მსხვილი პოლიტური ძალებისა და კოალიციის ჩამოყალიბებას, ქვეყანაში იქმნება სტაბილური საპარლამენტო უმრავლესობა. უარყოფითად კი ითვლება ის, რომ არ ასახავს რეალურად არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური ძალების თანაფარდობას და ამომრჩევლთა ხმების მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება.



პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით, მანდატები პარტიებს შორის ნაწილდება არა უმრავლესობის პრინციპის საფუძველზე, არამედ მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად. ამ შემთხვევაში პარტიები იყენებენ პარტიულ სიებს, რომლის მიხედვითაც ყოველი პარტიის მიერ მიღებული ხმები სიაში მათი კანდიდატების რიგითობის მიხედვით ნაწილდება.

პროპორციული საარჩევნო სისტემის დადებით მხარედ მიიჩნევა ის რომ მცირე დაკარგული ხმების რაოდენობა. პროპორციული სისტემა ქვეყანაში ძალთა ადეკვატურ თანაფარდობას ასახავს. თუმცა აქვს ნაკლოვანებებიც, ის ქმნის პარტიულ სიჭრელეს და დაქუცმაცებულობას პარლამენტში. ასეთ შემთხვევაში მთავრობა არასტაბილურია, მას არ აქვს მტკიცე მხარდაჭერა პარლამენტში, ხშირია სამთავრობო კრიზისები.

პროპორციული საარჩევნო სისტემისთვის უმნიშვნელოვანესია ე.წ. საარჩევნო კვოტა. ეს არის საარჩევნო ბარიერი, ხმათა რაოდენობის იმ მინიმუმი, რომელიც კონკრეტულმა პოლიტიკურმა სუბიექტმა უნდა მიიღოს.

შერეული საარჩევნო სისტემა გულისხმობს ისეთ საარჩევნო სისტემას, რომელშიც პარლამენტართა მანდატის ერთი ნაწილი მაჯორიტარული, ხოლო მეორე - პროპორციული სისტემის მეშვეობით ყალიბდება. ასეთი სისტემის სარგებლობს საქართველო. საქართველოს პარლამენტში 150 დეპუტატიდან 77 ირჩევა მაჯორიტარული წესით, ხოლო 73 პროპორციული წესით.

### **საარჩევნო სამართლის წყაროები და კონსტიტუციური პრინციპები საქართველოში**

სამართლებრივ წყაროებს შორის, რომლის საფუძველზე და რომლის შესაბამისად უნდა ტარდებოდეს არჩევნები, უპირატესობა კონსტიტუციას ენიჭება. თუმცა კონსტიტუციებში არჩევნებთან დაკავშირებით მხოლოდ ძირითადი პოზიციებია დაფიქსირებული, საარჩევნო პროცესის დეტალური რეგულირება კი მიმდინარე კანონმდებლობის საფუძველზე ხდება. საქართველოში საარჩევნო პროცესი რეგულირდება ორგანული კანონით საარჩევნო კოდექსით.

სახელმწიფოს მოქალაქეს აქვს აირჩიოს წარმომადგენელი ან თავად აირჩიონ წარმომადგენლობით ორგანოსა და არჩევით სახელმწიფო თანამდებობაზე. აქედან გამომდინარე არსებობს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება. აქტიური საარჩევნო უფლება ნიშნავს ფიზიკური პირის უფლებას იყოს ამომრჩეველი. ხოლო პასიური საარჩევნო უფლება არის პირის უფლება იყაროს კენჭი საარჩევ ტანამდებობაზე და გამრჯვების შემთხვევაში დაიკავოს ეს თანამდებობა.

საარჩევნო ცენზი არის კონსტიტუციით ან კანონით დადგენილი შეზღუდვა, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრავს იმ მოქალაქეთა წრეს, ვისაც საარჩევნო უფლება ეზღუდება.

ასაკობრივი ცენზის მიხედვით საარჩევნო სამართლის სუბიექტი გარკვეულ ასაკს მიღწეული უნდა იყოს. აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობის მინიმალური ასაკი საქართველოში 18 წელს. პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციისას კი უფრო მარალი ასაკობრივი ზღვარი დგინდება. მაგ., საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს 21 წლის ასაკიდან, ხოლო პრეზიდენტად 35 წლის ასაკიდან.

მოქალაქეობის ცენზის შემთხვევაში საარჩევნო უფლება, როგორც წესი, კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეს აქვს. ასევე არის შემთხვევები, როდესაც ნატურალიზებულ მოქალაქეებს პასიური საარჩევნო უფლება შეზღუდული აქვთ.

ბინადრობის ცენზი არის ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრების მოთხოვნა, სადაც ტარდება არჩევნები. ამ შემთხვევაშიც პასიური საარჩევნო უფლებისთვის ეს დრო უფრო მეტია, ვიდრე აქტიური საარჩევნო უფლებისთვის.

ასევე არსებობს ქმედუუნარობის და მორალური ცენზები, რომელთა შემთხვევაშიც საარჩევნო უფლების გამოყენებას სასამართლო ზღუდავს. პირველ შემთხვევაში პირს, რომელსაც სასამართლო ცნობს ქმედუუნაროდ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ გააჩნია. ხოლო მორალური ცენზით, საარჩევნო უფლება ეზღუდებათ, იმ პირებს, რომლებიც სასჯელს იხდიან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

საარჩევნო სამართლის საყოველთაობის პრინციპის შესაბამისად არჩევნებში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ყველა ზრდასრულმა ქმეუნარიანმა პირმა მიუხედავად მისი სქესის, რასის, რწმენის და რელიგიისადმი დამოკიდებულების, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობისა. თუმცა არჩევნებში მონაწილე პირი უნდა აკმაყოფილებდეს ზემოაღნიშნულ საარჩევნო ცენზებს.

არჩევნების თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ხმათა თანაბარ რაოდენობას, თანაბარ საარჩევნო უფლებამოსილებებს და თანაბარ შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანია ამომრჩევლების ხმებს ტანაბარი წონა გააჩნდეთ, თითოეულის ხმა ერთნაირად უნდა ფასდებოდეს. სახელმწიფომ ერთნაირი პირობები უნდა შეუქმნას არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს. ყველა კანდიდატს და პოლიტიკურ პარტიას უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები სახელმწიფოს მხრიდან. ასევე თანასწორობის პრინციპის დარღვევას წარმოადგენს საარჩევნო გეოგრაფია, ე.წ. ჯერიმანდერინგი.

პირდაპირი არჩევნები ამომრჩევლის უფლებას შესაძლებლობას, პირდაპირ აირჩიოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები, ან თავად იქნეს უშუალოდ აარჩეული ამომრჩევლების მიერ.

კენჭისყრის ფარულობის პრინციპი გულისხმობს, რომ არავის აქვს უფლება, დააკვირდეს და მით უმეტეს რაიმე სახის ზეგავლენა იქონიოს ამომრჩევლის ნებასა და საარჩევნო უფლების გამოხატვაზე.

თავისუფალი არჩევნების პრინციპი გულისხმობს, რომ ამომრჩეველი თავად წყვეტს მივიდეს თუ არა არჩევნებზე, ვის სასარგებლოდ გააკეთოს არჩევანი და საერთოდ ენდოს თუ არა მოცემულ მომენტში წარმოდგენილ ასარჩევ კანდიდატებსა თუ პოლიტიკურ სუბიექტებს. ამომრჩეველი დაცული უნდა იყოს ყოველგვარი მუქარისა და შეზღუდვისგან არჩევანის გაკეთების პროცესში.

## საპარლამენტო არჩევნები

პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებას, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს პარლამენტი აირჩევა, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, პროპორციული სისტემით აირჩევა 77, ხოლო მაჟორიტარული სისტემით - 73 დეპუტარი.

საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს პრეზიდენტი არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა. თუ არჩევნების ვადა ემტხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არაუგვიანეს 60 დღისა.

საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან. რომელმაც იცის ქართული ენა. პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წელი არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, აგრეთვე არ შეიძლება აირჩეს ნარკომანი ან ნარკოტიკების მომხმარებელი მოქალაქე.

პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსის თანამდებობრივ მდგომარეობასთან შეუტავსებლობისას, პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგნენ და გათავისუფლდნენ შემდეგი თანამდებობის პირები: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები, საქართველოს უშიშროების საბჭოს წევრები, გენერალური აუდიტორი და მისი მოადგილეები, სახელმწიფო რწმუნებულები - გუბერნატორები და მათი მოადგილეები, საკრებულოს თავმჯდომარეები, მოსამართლეები, პროკურორები და სხვ.

პროპორციული წესით არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის მხარდაჭერაც

დადასტურებულია ამომრჩევლეთა ხელმწიფრებით (არაუმეტეს 1%), ან რომელსაც ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნების დანიშვნის დროისათვის.

პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად პარლამენტის მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა 5%-ს მაინც.

მაჯორიტარულ საარჩევნო ოლქში კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ: დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს და ამომრჩევლთა ხუთკაციანი საინიციატივო ჯგუფს. მაჯორიტარული არჩევნების დროს იქმნება 73 ერთმანდატიანი მაჯორიტარული საარჩევნო ოლქი, მათ შორის თბილისში - 10 მაჯორიტარული საარჩევნო ოლქი. მაჯორიტარული წესით გამართულ საპარლამენტო არჩევნებში, გამარჯვებულად მიიჩნევა ის კანდიდატი, რომელიც საარჩევნო ოლქში ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, თუმცა არანაკლებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლების 30%-ისა.

## საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსი

საქართველოს პარლამენტის წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით, ის არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი და მისი გამოწვევა დაუშვებელია. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება მის მიერ ფიცის დადებისთანავე და მთავრდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება, თუ: ა) უფლებამოსილება მოეხსნა პირადი განხადებით; ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი; გ) სასამართლოს აღიარა ქმედუუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად; დ) დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა მასთან შეუთავსებელ საქმიანობას; ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა; ვ) არასაკატიო მიზეზით 4 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში; ზ) გარდაიცვალა.

პარლამენტის წევრს უფლება არ აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, სახელოვნებო საქმიანობისა.

საქართველოს პარლამენტის წევრი სარგებლობს სადეპუტატო იმუნიტეტითა და ინდემნიტეტით. იმუნიტეტი გულისხმობს, რომ პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემტხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

სადეპუტატო ინდემნიტეტის მიხედვით დაუშვებელია პარლამენტის წევრის პასუხისგებაში მიცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისთვის. გარდა ამისა, პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

## **პარლამენტის სტრუქტურა**

საქართველოს პარლამენტი, პირველივე სესიაზე, თავისი უფლებამოსილების ვადით, ფარული კენჭისყრით, ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს საკმაოდ მაღალი პოლიტიკური სტატუსი აქვს. პარლამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია წარმოადგინოს პარლამენტი ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობებში, წარუძღვეს პარლამენტის მუშაობას, გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა პარლამენტის ორგანოებსა და თანამდებობის პირთა საქმიანობას, თავმჯდომარეობს პარლამენტის პლენარულ სხდომებს, იწვევს და თავმჯდომარეობს პარლამენტის ბიუროს სხდომებს, იგი ხელს აწერს და აქვეყნებს რეგლამენტსა და პარლამენტის მიერ მიღებულ სხვა აქტებს.

პარლამენტის თავმჯდომარე ასრულებს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებას პრეზიდენტის მიერ ტავისი უფლებამოსილების განხორციელების ან მისი უფლებამოსილების ვადადღე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში. ხელს აწერს კანონს და აქვეყნებს, თუ მას საქართველოს პრეზიდენტმა არ მოაწერა ხელი.

პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციისთვის იქმნება პარლამენტის ბიურო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები.

ბიურო შეიმუშავებს და დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგენს პლენარული სხდომების კვირის დღის წესრიგის პროექტს. განიხილავს პარლამენტის პლენარულის სხდომაზე განსახილველი კანონპროექტების შესახებ დასკვნებს. კომიტეტების, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების დასკვნებს, რეზოლუციებსა და მიმართვის პროექტებს. განიხილავს საქართველოს მთავრობის ნდობის გამოცხადების, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანამდებობების პირთა არჩევისა და მათი დანიშვნაზე თანხმობის მიცემის თაობაზე შესაბამისი კომიტეტების დასკვნებს და მათ საფუძველზე შეიმუშავებს დასკვნას, რომელსაც წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს. ამტკიცებს კომიტეტების, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების დასკვნებს.

პარლამენტის ბიუროს სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს პარლამენტის თავმჯდომარე ან მისი დავალებით - პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისთვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვლადებული ორგანოების და მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტში იქმნება კომიტეტები.

საქართველოს პარლამენტში დღეს-დღეისობით ფუნქციონირებს 15 კომიტეტი: ადამიანი უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის; განათლების, მეცნიერებათა და კულტურის; ევროპასთან ინტეგრაციის; თავდაცვისა და უშიშროების; იურიდიული საკითხთა; საგარეო ურთიერთობის; დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის და სხვა.

კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციათა წარმომადგენლებისა და იმ პარლამენტის წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში. თითოეული კომიტეტი შედგება არანალებ 10 პარლამენტის წევრისგან, ამათანავე თითოეული დეპუტატი ვალდებულია გაერთიანდეს ერთ კომიტეტში მაინც. კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. კომიტეტი შეიმუშავებს, განიხილავს და პარლამენტის პლენარული სხდომებისთვის ამზადებს კანონებს, პარლამენტის დადგენილებებსა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტებს; მონაწილეობს პარლამენტში შესული კანონპროექტების განხილვა-დამუშავებაში, ამზადებს დასკვნებს კანონპროექტებზე;

საქართველოს მთავრობის ნდობის გამოცხადების შემთხვევაში განიხილავს მთავრობის წევრთა კანდიდატურებს, აგრეთვე, იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურებს, რომლებსაც ირჩევს და რომელთა დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა პარლამენტი, და დასკვნებს გადასცემს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს პარლამენტის ბიუროსთვის წარსადგენად.

კომიტეტი აკონტროლებს საქართველოს კანონების, პარლამენტის დადგენილებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნებს წარუდგენს პარლამენტს. ახორციელებს კონტროლს პარლამენტის წინაშე ანგარიშვლადებული სახელმწიფო ორგანოების და მთავრობის საქმიანობაზე და საჭიროების შემთხვევაში დასკვნებს წარუდგენს პარლამენტს.

პარლამენტის კომიტეტი სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით.

ფრაქცია არის პარლამენტის წევრთა გაერთიანება საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ფრაქცია შედგება არანაკლებ ექვსი დეპუტატისგან.

ერთი პარტიული სიით არჩეულმა პარტიის წევრებმა შეილძლება შექმნან მხოლოდ ერთი ფრაქცია. პარლამენტის წევრს, გარდა მაჯორიტარი პარლამენტის წევრისა, თუ მისი პარტიის წევრებმა შექმნეს ფრაქცია, უფლება არა აქვს, იყოს სხვა ფრაქციის წევრი.

ფრაქციის მიზანია: გამოხატოს და გაატაროს თავისი პოლიტიკური კურსი საკანონმდებლო ორგანოში, ხელი შეუწყოს პარლამენტისა და მისი ორგანოების საქმიანობის სრულყოფას, გამოხატოს ფრაქციის შეჯერებული აზრი პარლამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისას. ფრაქციას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, აგრეთვე უფლება შეკითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს.

საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა თუ რომელიმე ფრაქციაში გაერთიანებულ პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობა აღემატება პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარს, ფრაქცია ავტომატურად იძენს უმრავლესობის სტატუსს. უმრავლესობის შექმნა შეუძლიათ აგრეთვე ფრაქციებს და მათდამი მიმხრობილ ისეთ პარლამენტის წევრებს, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში, თუ გაერთიანებული პარლამენტი წევრების საერთო რაოდენობა აღემატება სიითი შემადგენლობის ნახევარს.

თუ რომელიმე ფრაქციაში გაერთიანებულ პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობა აღემატება უმრავლესობის გარეთ დარჩენილ პარლამენტის წევრთა რაოდენობის ნახევარს, ფრაქცია თავისი მოთხოვნის საფუძველზე იძენს უმცირესობის სტატუსს. უმცირესობის შექმნა შეუძლიათ აგრეთვე ფრაქციებს და მათდამი მიმხრობილ ისეთ პარლამენტის წევრებს, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში, თუ გაერთიანებული პარლამენტი წევრების საერთო რაოდენობა აღემატება უმრავლესობის გარეთ დარჩენილ პარლამენტის წევრთა რაოდენობის ნახევარს.

უმრავლესობა და უმცირესობა უფლებამოსილებას იძენენ პარლამენტის ბიუროს მიერ მათი რეგისტრაციის შემდეგ.

კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევებში, აგრეთვე პარლამენტის წევრთა არანაკლებ 1/5 მოთხოვნით პარლამენტში იქმნება საგამომიებო ან სხვა დროებითი საგამომიებო კომისიები. რეგლამენტის ტანახმად საქართველოს პარლამენტში შესაძლებელია შეიქმნას დროებითი ან დროებითი საგამომიებო კომისიები.

დროებითი საგამომიებო კომისიები შეიძლება შეიქმნას სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კანონდარრვევის ფაქტების გამოკვლევისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, ან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკითხის შესასწავლად. დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნა საუბველია ინფორმაცია: ა) სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ. ბ) სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის

არამართლზომიერი ხარჯვის შესახებ, გ) რომლის შესწავლაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

დროებითი საგამოძიებო კომისია შეიძლება შეიქმნას არაუმეტეს 3 თვისა, თუმცა შეიძლება გაგრძელდეს თითო თვით. კომისის უფლებამოსილების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

დროებითი საგამოძიებო კომისის გარდა შესაძებელია შეიქმნას დროებითი კომისიაც: ა) ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებით; ბ) პეტიციის ან საჩივრის შესასწავლად, თუ საქმე ეხება საერთო სახელმწიფოებრივ პრობლემებს; გ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობას შესახებ.

ზემოაღნიშნული კომისიები მნიშვნელოვან ბერკეტს ქმნიან საპარლამენტო კონტროლის განხორციელებისას.

## **საკანონმდებლო პროცესი პარლამენტში**

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. საკანონმდებლო პროცესი არის კანონპროექტის, მომზადებისა და მიღების ერთიანი პროცედურა.

საკანონმდებლო პროცესის საწყის სტადიას წარმოადგენს საკანონმდებლო ინიციატივა - საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტების მიერ კანონპროექტის მომზადება და პარლამენტისთვის წარდგენა.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.

საკანონმდებლო აქტის პროექტს ამზადებს თავად საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონდე სუბიექტი.

ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტი ეგზავნება პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს, რომელიც თავის მხრივ კანონპროექტს გადასცემს პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს დასკვნების მოსამზადებლად. დასკვნის მიღების შემდეგ საორგანიზაციო დეპარტამენტი კანონპროექტს გადასცემს ბიუროს, რომელიც უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ და კანონპროექტს გადასცემს წამყვან კომიტეტს, სხვა კომიტეტებს, ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას, პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს და საქართველოს მტავრობას.



კანონპროექტის მიღებიდან 3 დღეში კომიტეტი იწყებს კანონპროექტის განხილვას და არაუგვიანეს სამი კვირისა ვალდებულია დაასრულოს განხილვა, რის შედეგადაც, კანონპროექტი გადაეცემა კვლავ ბიუროს, პირველი მოსმენით განხილვისთვის უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

პარლამენტი კანონის პროექტს განიხილვს სამი მოსმენით. კანონპროექტის პირველი მოსმენისას პარლამენტის პლენარულს სხდომაზე განიხილება მისი ზოგადი პრინციპები და ძირითადი დებულებები. პირველი მოსმენით დასრულების შემდეგ პარლამენტი კენჭისყრით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღების შესახებ ან გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით ახალი კანონპროექტის შემუშავების შესახებ.

პირველი მოსმენით მიღების შემდეგ, კანონპროექტი მასზე გამოთქმული შენიშვნების პროექტში ასახვისა და მეორე მოსმენით განხილვისათვის სამომზადებლად გადაეცემა წამყვან კომიტეტს. პირველი მოსმენისას არსებული შენიშვნების გათვალისწინებით გამამუშავებელი კანონპროექტი პირველი მოსმენით მიღებიდან 3 კვირის ვადაში წერილობითი ფორმით წარედგინება საორგანიზაციო დეპარტამენტს, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისთვის.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენისას კანონპროექტი განიხილება ქვეპუნქტების, პუნქტების, მუხლების, თავების, კარების მიხედვით და კენჭი ეყრება ერთიანად. მეორე მოსმენით დასრულების შემდეგ პარლამენტი კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას: კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღების შესახებ ან დამატებითი დამუშავებისთვის კანონპროექტის წამყვან კომიტეტში დაბრუნების შესახებ.

კანონპროექტის მესამე მოსმენისას მასში შესაძლებელია მხოლოდ რედაქციული ცვლილებების შეტანა. მესამე მოსმენისას პარლამენტის წევრებს ურიგდებათ კანონპროექტის რედაქტირებული ვარიანტი, რომელშიც ასახულია მეორე მოსმენისას გათვალისწინებული შენიშვნები. მესამე მოსმენისას კანონპროექტის საბოლოო რედაქტირებულ ვარიანტს მთლიანად ეყრება კენჭი.

რაც შეეხება კანონპროექტის მისაღებად საჭირო კვორუმს, ორდინალური კანონი მიღებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-სა, ორგანული კანონი მიღებულად ითვლება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ხოლო კონსტიტუციური კანონი სრული შემადგენლობის 3/4-ის მხარდაჭერით.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონი 7 დღის ვადაში ხელმოსაწერად გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს. პრეზიდენტი 10 დღის ვადაში ხელს აწერს კანონპროექტს და აქვეყნებს კანონს. თუმცა პრეზიდენტი უფლებამოსილია დადგენილ ვადაში ხელი არ მოაწეროს კანონპროექტს და მოტივირებული შენიშვნებით (ჩამოყალიბებული

კანონპროექტის სახით) დაუბრუნოს იგი პარლამენტს. პარლამენტი განიხილავს შენიშვნებს და თუ მიიღებს პრეზიდენტის შენიშვნებს, კვლავ გადაეცემა პრეზიდენტს ხელის მოსაწერად და გამოსაქვეყნებლად. თუ პარლამენტი არ მიიღებს შენიშვნებს, კენჭი ეყრება კანონის პირვანდელ რედაქციას. პრეზიდენტის ვეტოს დაძლევისთვის განსაზღვრულია შემდეგი კვრომუ: ორდინალური კანონის შემთხვევაში სიითუ უმრავლესობის მხარდაჭერა, ორგანული კანონის შემთხვევაში სრული შემადგენლობის უმრავლესობა და კონსტიტუციური კანონის შემთხვევაში არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის 3/4-სა.

თუ საქართველოს პრეზიდენტმა დადგინდა ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და 5 დღეში აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

კანონი ოფიციალურად ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე და ამოქმედდება გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ ამ კანონით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

### **კანონპროექტის განხილვა დაჩქარებული და გამარტივებული წესით**

კანონპროექტი შეიძლება განიხილოს და მიიღოს დაჩქარებული წესით, რაც კანონპროექტის სამივე მოსმენით მის განხილვასა და მიღებას პლენარული სხდომების 1 კვირის განმავლობაში გულისხმობს. პლენარული სხდომის ერთ დრეს კანონპროექტის ერთზე მეტი მოსმენით განხილვა და მიღება დასაშვებია მხოლოდ პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით.

დაჩქარებული წესით კანონპროექტი განიხილება იმ შემთხვევაში, თუ იგი ითვალისწინებს მხოლოდ კანონში ცვლილების შეტანას და არა ახალი კანონპროექტის მიღებას.

გამარტივებული წესით კანონის მიღება გულისხმობს პარლამენტის სხდომაზე კანონის მიღებასა და განხილვას გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით. გამარტივებული წესით შეიძლება მიიღონ კანონპროექტი საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, აგრეთვე, იმ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც შეეხება კანონით გათვალისწინებული თარიღის (ვადის) ან ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილებას.

კანონპროექტის დაჩქარებული და გამარტივებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის ბიურო, კანონპროექტის ინიციატორის ან წამყვანი კომიტეტის წინანადადების საფუძველზე.

დაჩქარებული და გამარტივებული წესით დაუშვებელია საქართველოს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა და მიღება.

### **საქართველოს პარლამენტის მიერ მთავრობის კონტროლი და მისი ფორმები**

პარლამენტის მიერ საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლის უმნიშვნელოვანეს მექანიზმს მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების ინსტიტუტი წარმოადგენს.

ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე, მთავრობის უფლებამოსილება მოხსნილად ითვლება და საქართველოს პრეზიდენტი მასვე აკისრებს მოვალეობის შესრულებას მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილების მოხსნიდან 7 დღის ვადაში წამოაყენებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას.

პრემიერმინისტრობის კანდიდატი 7 დღის ვადაში შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად წარდგენილი უნდა იყოს სამთავრობო პროგრამა.

საქართველოს პარლამენტი მთავრობის წარდგენიდან 7 დღის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს. პარლამენტის ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.

აგრეთვე, მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ერთი მესამედით, მაგრამ არანაკლებ 5 წევრით განახლების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი 1 კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტის მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად.

პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობის მოქმედ შემადგენლობას. უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღიძვრება პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/5 მხარდაჭერით. რის შემდეგაც კენჭი ეყრება მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ პარლამენტის დადგენილების პროექტს. აღნიშნული დადგენილების პროექტის მიიღება პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

პარლამენტი ასევე უფლებამოსილია კითხვის მიმართოს მთავრობას და მთავრობის წევრს და მიიღოს მათგან პასუხი. კითხვა შეიძლება დაისვას მხოლოდ წერილობით. მთავრობის წევრი, რომელსაც კითხვით მიმართეს, ვადლდებულია პარლამენტს კითხვის მიღებიდან 7 დღის ვადაში წარუდგინოს წერილობითი პასუხი.

გარდა კითხვისა, პარლამენტის წევრთა ათკაციან ჯგუფს და ფრაქციას უფლება აქვთ შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, საქართველოს მთავრობას ან მთავრობის წევრს. კითხვის ადრესატები ვალდებული არიან, დასმულ შეკითხვას უპასუხონ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ყოველი თვის ბოლო პარასკევს, სამთავრობო საათის დროს.

## **თანამდებობის პირთა იმპიჩმენტით გადაყენების წესები**

საპარლამენტო კონტროლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს იმპიჩმენტის ინსტიტუტი.

საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი დასკვნისთვის გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს.

თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები ან კონსტიტუციის დარღვევა, პარლამენტი განიხილავს და კენჭს უყრის პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

საქართველოს პრეზიდენტის გარდა, საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს: საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრების, გენერალური აუდიტორის და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების იმპიჩმენტით თანამდებობიდან გადაყენების შესაძლებლობას. თუმცა ამ შემთხვევაში თანამდებობიდან გადაყენებისთვის საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

დაუშვებელია იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

## **პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევის წესი**

საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე პირისათვის კონსტიტუციით დადგენილია მოქალაქეობის, ასაკობრივი და ბინადრობის ცენზები. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც და არჩევნების დანიშნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში.

პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას ან საინიციატივო ჯგუფს. კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა

იყოს არანაკლებ 25 000 (ამომრჩევლეთა საერთო რაოდენობის 0,75%) და არაუმეტეს ამომრჩევლეთა საერთო რაოდენობის 1%-ს ხელმოწერით.

საქართველოს მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში და არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე 60 დღით ადრე.

არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნების მონაწილეთა ნახევარზე მეტმა. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს არჩევნები არ ტარდება.

თუ არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთმა მონაწილემ ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, პირველი ტურის შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან ორი კვირის თავზე იმართება არჩევნების მეორე ტური. არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

თუ არჩევნების პირველ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო, არჩევნების დღიდან ორი თვის ვადაში იმართება ხელახალი არჩევნები.

პრეზიდენტის არჩევნებიდან მესამე კვირას იმართება ინაუგურაციის ცერემონია, ახალარჩული პრეზიდენტი წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს. ახალარჩული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება.

## **პრეზიდენტის სამართლებრივი სტატუსი**

საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას.

საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, თუმცა 2010 წლის კონსტიტუციური ცვლილებების ამოქმედებამდე საქართველოს პრეზიდენტი იყო საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში.

2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედებისას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ წარდგენილი დაბადებით საქართველოს მოქალაქის მოთხოვნა გაუქმდა და საქართველოს ნატურალიზებულ მოქალაქეებსაც შეუძლიათ საპრეზიდენტო არჩევნებში პასიური საარჩევნო ხმის უფლების მოპოვება. პრეზიდენტს შეეზღუდა პარტიული თანამდებობის დაკავების უფლება, ასევე, რეფერენდუმის საკუთარი ინიციატივით

დანიშნვის უფლება. ქვეყნის საშიანაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებებს განახორციელებს მხოლოდ მტავრობასთან შთანხმებით.

2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებიდან ასევე აღსანიშნავია კონტრასიგნაციის ინსტიტუტის დანერგვა. საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების ნაწილი იურიდიულ ძალას შეიძენენ მხოლოდ პრემიერ-მინისტრის თანახელმწიფის შემდეგ.

2013 წლის კონსტიტუციური კანონის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტს შეეზღუდა საქართველოს პარლამენტისგან დამოუკიდებლად მთავრობის ფორმირების შესაძლებლობა. ამავე ცვლილებებით, პრეზიდენტს მიენიჭა უფლება, საქართველოს კონსტიტუციით 51-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, დაითხოვოს საქართველოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.

საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე ყოფნის დროს ხელშეუვალია. დაუშვებელია მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის 1/3 უფლებამოსილია აღძრას იმპიჩმენტის პროცედურა.

თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები ან კონსტიტუციის დარღვევა, პარლამენტი განიხილავს და კენჭს უყრის პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

## **პრეზიდენტის უფლებამოსილებები**

2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილების ამოქმედების შემდეგ პრეზიდენტი აღარ არის ფართო უფლებებით აღჭურვილი. პრეზიდენტი ანიჭებს ჯილდოებს, უმაღლეს სამხედრო, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს; წყვეტს მოქალაქეობის და თავშესაფრის მიცემის საკითხებს; შეიწყალებს მსჯავრდებულთ; ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს კონსტიტუციით და კანონით დადგენილი წესით; პრეზიდენტი მიმართავს ხალხს და პარლამენტს, წელიწადში ერთხელ წარსდგება პარლამენტის წინაშე მოხსენებით ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საკითხებზე; უფლებამოსილია დაითხოვოს პარლამენტი კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით; საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიასთან.

საქართველოს პრეზიდენტი არის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ანიჭებს უმაღლეს სამხედრო წოდებებს, ხელმძღვანელობს საქართველოს ეროვნული უშიშროები საბჭოს და თანამდებობაზე ნიშნავს მის წევრებს. მთავრობასთან შეთანხმებით თანამდებობიდან ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს.

საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და ამ გადაწყვეტილებებს არა უგვიანეს 48 საათისა წარუდგენ პარლამენტს დასამტკიცებლად.

2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედების შედეგად საქართველოს პრეზიდენტი არის არა უმაღლესი, არამედ ერთ-ერთი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში. მთავრობის წარდგინებით დანიშნავს და გაათავისუფლებს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს, ანუ იყენებს ვეტოს უფლებას.

საქართველოს პრეზიდენტი საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს შესაბამისად საომარი და საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე, ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს, თუმცა დეკრეტი წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად.

საქართველოს პრეზიდენტი როგორც სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი გამოსცემს ბრძანებას. ასევე გამოსცემს ბრძანებულებას და განკარგულებს.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე.

## კონტრასიგნაციის ინსტიტუტი

კონტრასიგნაცია (ლათინური: contra-წინააღმდეგ, signare-ხელმოწერა) სახელმწიფოს მეთაურისნ სამართლებრივი აქტების პრემიერ-მინისტრის მხრიდან თანახელმოწერას

გულისხმობს, რის შედეგადაც აქტი იძენს იურიდიულ ძალას და მის აღსრულებაზე სამართლებრივი თუ პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება პრემიერ-მინისტრს.

საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას, გარდა შემდეგი სამართლებრივი აქტებისა: საომარი მდგომარეობის დროს გამოცემული აქტებისა, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება (გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა, აქტები, რომელიც გამოცემული მტავრობის წარდგინებით ან რომლებზეც მთავრობას მიცემული აქვს წინასწარი თანხმობა; პარლამენტის დანიშვნასა და მის დატხოვნას კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე; კანონის ხელმოწერასა და დაბრუნებას; კონსტიტუციით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა წარდგენის, დანიშვნის, გათავისუფლების და გადაყენებას; პრემიერ-მინისტრის კანდიდატის წამოყენებას და დანიშვნას; მოქალაქეობის მინიჭებასა და შეწყვეტას; საომარი მდგომარეობის გამოცხადებასა და გაუქმებას; მსჯავრდებულთა შეწყალებას.

პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც საჭიროებს კონტრასიგნაციას ქვეყნდება და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ კონტრასიგნაციის შემთხვევაში.

კონტრასიგნაციის ინსტიტუტი დამახასიათებელია მხოლოდ ისეთი სახელმწიფოებისთვის, სადაც არსებობს პარლამენტის წინაშე მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა.

### **საქართველოს მთავრობის სტატუსი, ადგილი და როლი ხელისუფლების სისტემაში**

საქართველს მტავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.

1995 წლიდან მოყოლებული საქართველოში მთავრობის სამი მოდელი არსებობდა: 1995 წლიდან 2004 წლამდე მოქმედებდა საპრეზიდენტო მოდელი, სადაც მტავრობა პრეზიდენტის დაქვემდებარებული ორგანო; 2004 წლიდან 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილების ამოქმედებამდე მოქმედებდა შერეული ანუ ბიციფალური მოდელი, რომლის ფარგლებში მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტთან ერთად; ხოლო 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედების შემდეგ მოქმედებს ე.წ. კაბინეტური მოდელი, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის მთავრობა, ხოლო პრეზიდენტს მხოლოდ სახელმწიფო მეთაურის ფუნქციები გააჩნია.

მტავრობა შედგება პრემიერ მინისტრისა და მინისტრებისგან. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს ასევე ერთი ან რამოდენიმე სახელმწიფო მინისტრი, ამასთანავე პრემიერ-მიონისტრი უფლებამოსილია მტავრობის ერთ-ერთ წევრს დააკისროს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება.



2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედების შემდეგ პრეზიდენტს უფლებამოსილება არსებითად შეეკვეცა და მთელ რიგ საკითხებში სჭირდება მთავრობის თანხმობა: მთავრობასთან შეთანხმებით მოლაპარაკების წარმოება სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; მთავრობის წარდგინებით საქართველოს ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნა გათავისუფლება; მთავრობასთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროს უფროსს, სხვა მხედართმთავრებს და ა.შ.

საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, გარდა 73<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას. პრეზიდენტის აქტების კონტრასიგნირების შედეგად შესაბამისი პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას.

კონსტიტუციის ახალი რედაქციით მთავრობა პასუხისმგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. პრემიერ მინისტრს აღარ გააჩნია პრეზიდენტისადმი ანგარიშების ვალდებულება. ამასთანავე სამთავრობო კაბინეტის პოლიტიკური პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე არის სოლიდარული, სამთავრობო პოლიტიკის მიუღწევლობა იწვევს მთლიანად მთავრობის გადადგომას.

მთავრობის, სამართლებრივ აქტებს წარმოადგენს დადგენილება და განკარგულება, რომელსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი. თავად პრემიერ-მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

## **საქართველოს მთავრობის ფორმირების წესი**

ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე, მთავრობის უფლებამოსილება მოხსნილად ითვლება და საქართველოს პრეზიდენტი მასვე აკისრებს მოვალეობის შესრულებას მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე. საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან 7 დღის ვადაში წამოაყენებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას.

პრემიერმინისტრობის კანდიდატი 7 დღის ვადაში შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად წარდგენილი უნდა იყოს სამთავრობო პროგრამა.

საქართველოს პარლამენტი მთავრობის წარდგენიდან 7 დღის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს. პარლამენტის

ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.

აგრეთვე, მთავრობის თავდაპირველი შეამადგენლობის ერთი მესამედით, მაგრამ არანაკლებ 5 წევრით განახლების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი 1 კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტის მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად.

კონსტიტუციის მე-80 მუხლი ითვალისწინებს ახალი მთავრობის ფორმირების პროცედურას მთავრობის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში. ასეთ დროს საქართველოს პრეზიდენტის 7 დღის ვადაში პრემიერმინისტრობის კანდიდატად წარმოაყენებს საპარლამენტო უმრავლესობას, ხოლო თუ უმრავლესობა შექმნილი არ არის - იმ საპარლამენტო ფრაქციის მიერ წარდგენილ კანდიდატურას, რომელიშიც ყველაზე მეტი პარლამენტის წევრია გაერთიანებული. მთავრობის წევრთა შერჩევა და ნდობის გამნოცხადება ხდება მე-80 მუხლით დადგენილი წესით.

### **მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების წესი**

მთავრობის უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი ხორციელდება კონსტიტუციის 81 მუხლის შესაბამისად.

პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას.

- უნდობლობის გამოცხადების შესახებ პარლამენტისადმი მიმართვის შესაძლებლობა აქვს დეპუტატთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორ მეხუთედს.
- უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრისთვის საჭიროა დამატებითი კენჭისყრა, პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით მხარდაჭერის წინაპირობით.
- უნდობლობის საკითხის აღძვრის შემდეგ პარლამენტი კენჭს უყრის სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/5 მიერ დასახელებულ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურ(ებ)ის პრეზიდენტისთვის წარდგენას. 2 კანდიდატურის დასახელების შემთხვევაში კენჭი ეყრება ორივე კანდიდატურას. პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა წარედგინება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
- პრეზიდენტი უფლებამოსილია წარადგინოს პარლამენტის მიერ წარმოადგენილი პრემიერ მინისტრის კანდიდატურა ხელახალი კენჭისყრისათვის.
- თუ პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს ამ უკანასკნელის მიერვე კენჭისყრის შედეგად შერჩეულ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, იწყება მე-80 მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი პროცედურა.

- თუ პრეზიდენტი პარლამენტს დასამტკიცებლად არ წარუდგენს ამ უკანასკნელის მიერვე კენჭისყრის შედეგად შერჩეულ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს, პარლამენტი კვლავ უყრის პრემიერ-მინისტრის იმავე კანდიდატურის წარდგენას. პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად საჭიროა სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედის მხარდაჭერა. ვეტოს დაძლევის შემთხვევაში, პრეზიდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა დასამტკიცებლად და იწყევა კვლად მე-80 მუხლით განსაზღვრული პროცედურა.
- მთავრობისთვის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება ჩაითვლება (ძველი) მთავრობის უნდობლობის გამოცხადებად, რაც იწვევს მისი უფლებამოსილების შეწყვეტას.
- მტავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში პრეზიდენტს უნაჩუნდება უფლებამოსილება დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.

## საქართველოს მთავრობის შემადგენლობა

საქართველს მტავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.

მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან. მტავრობის შემადგენლობაში შეიძლება ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო მინისტრი.

პრემიერ-მინისტრი არის მთავრობის მეთაური. ის განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებას, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს მთავრობის წევრთა საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს.

პრემიერ მინისტრი თავის უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივის აქტს - ბრძანებას.

პრემიერ-მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობის სხვა წევრებს.

პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა იწვევს მტავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას.

მინისტრი ხელმძღვანელობს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას, თვალყურს ადევნებს სამინისტროში შემავალი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას.

გარდა პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისა საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო მინისტრებიც. სახელმწიფო მინისტრი არ მეთაურობს სამინისტროს (ე.წ. უპორტფელო მინისტრია) და მთავრობის შემადგენლობაში შედის მასზე დაკისრებული სპეციალური ფუნქციის განსახორციელებლად.

დღე-დღისობით საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში შემდეგი სახელმწიფო მინისტრებია: სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, სახელმწიფო მინისტრები რეინტეგრაციის საკითხებში, სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში.

პრემიერ მინისტრი ასევე უფლებამოსილია მთავრობის ერთ წევრს დააკისროს პირველი ვიცე-პრემიერის, აგრეთვე ერთ ან რამოდენიმე წევრს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება.

## **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესი, შემადგენლობა და სტრუქტურა**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოა. საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების პროცესში მონაწილეობს სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტო. საკონსტიტუციო სასამართლო 9 წევრისგან შედგება, რომელთაგან სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამს - სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო სამს - ნიშნავს უზენაესი სასამართლოს პლენუმი.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა 10 წელია და იგი იწყება მის მიერ ფიცის დადებისთანავე, ამასთან აკრძალულია პირის ერთზე მეტი ვადით სასამართლოს წევრად გამწესება. სასამართლოს წევრად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება.

სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისგან. პლენუმში შედის სასამართლოს ყველა წევრი და მას თავმჯდომარეობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. კოლეგიების შემადგენლობა 4-4 წევრით განისაზღვრება და თითოეულს ხელმძღვანელობს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. კოლეგიის შემადგენლობას საკონსტიტუციო საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებით ამტკიცებს პლენუმი.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის ორი მოადგილე აირჩევა პლენუმის მიერ, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურა პლენუმს წარედგინება საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის

შეთანხმებული წინადადებით, ხოლო მოადგილეებს ასახელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებას, ანაწილებს განსახილველ საქმეებს, განკარგავს სასამართლოს ფინანსებს, ხელმძღვანელობს პლენუმს და ა.შ.

საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ 5 წლის ვადით. მისი დანიშნულებაა სასამართლოს მუშაობის ორგანიზაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფა, ოფიციალური დოკუმენტების წარმოება და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედველობა.

### **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოა. მისი უფლებამოსილებები განისაზღვრება კონსტიტუციითა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონით“. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს:

1. საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, კანონის, პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე;
2. იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ;
3. იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს;
4. იხილავს რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;
5. იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;
6. პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით;
7. იხილავს დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე.
8. თვითმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს კონსტიტუციის მეშვიდე<sup>1</sup> თავთან მიმართებით.

9. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების შესაბამისობას კონსტიტუციის 82-ე, 86-ე, 86<sup>1</sup>-ე, 87-ე, 90-ე მუხლებთან;
10. იხილავს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ტავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრის, გენერალური აუდიტორისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან მათ ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საკითხს;
11. საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციებისგან უმთავრესი მის მიერ საკონსტიტუციო ნორმატიული აქტების განხორციელებაა. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას. კანონის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად მიჩნევისას, სასამართლო აუქმებს მას, რითაც ახორციელებს „ნეგატიური კანონმდებლის“ ფუნქციას.

საქმის განხილვისას სასამართლო შეზღუდულია მოსარჩელე მხარის სასარჩელო მოთხოვნით და არ შეუძლია გასცდეს ამ ფარგლებს. საკონსტიტუციო სასამართლოს თვითინიციატივით არ შეუძლია საქმის განხილვის წამოწყება.

### **საერთო სასამართლოების სისტემა საქართველოში**

საერთო იურისდიქციის სასამართლოების სისტემა საქართველოში სამსაფეხურიანია:

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოები;
2. სააპელაციო სასამართლოები;
3. უზენაესი (საკასაციო) სასამართლო.

რაიონული სასამართლო იქმნება მუნიციპალიტეტში, ხოლო საქალაქო სასამართლო - თვითმართველ ქალაქში. რაიონული სასამართლო არის პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც მისი განსჯადობისთვის მიკუთვნებულ ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავს ერთპიროვნულად ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში - კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით. რაიონული სასამართლო შედგება არანაკლებ 2 მოსამართლისგან. ამასთან მის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს მაგისტრატი მოსამართლეები.

სააპელაციო სასამართლო იქმნება და მისი სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. საქართველოში მოქმედებს ორი სააპელაციო სასამართლო - თბილისისა და ქუთაისში. სააპელაციო სასამართლო განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებზე შემოსულ საჩივრებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში იქმნება სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა პალატები, ასევე საგამომიებო კოლეგია.

საქართველოს იზენაესი სასამართლო (საკასაციო სასამართლო) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის სასამართლოა. ის შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისგან.

უზენაესი სასამართლოში იქმნება:

1. სამოქალაქო საქმეთა პალატა;
2. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა;
3. სისხლის სამართლის საქმეთა პალატა;
4. დიდი პალატა;
5. პლენუმი;
6. სადისციპლინო პალატა.

*უზენაესი სასამართლოს პალატა* (სადისციპლინო პალატის გარდა) საკასაციო ინსტანციის სასამართლოა, რომელიც განიხილავს საკასაციო საჩივრებს სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებაზე.

*უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა* განიხილავს განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებს. დიდი პალატა შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, სხვა პალატების თავმჯდომარეებისა და პლენუმის მიერ უზენაესი სასამართლოს პალატების შემადგენლობიდან არჩეული არანაკლებ 12 მოსამართლისაგან, საქმეს კი განიხილავს 9 მოსამართლის შემადგენლობით.

*უზენაესი სასამართლოს პლენუმი* შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მოადგილეების, უზენაესი სასამართლოს წევრებისა და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებისგან. პლენუმის უფლებამოსილებაში შედის უზენაესი სასამართლოს სტრუქტურული ერთეულების შემადგენლობის არჩევა, საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრის დანიშვნამ საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგინების შეტანა ნორმატიული აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, უზენაესი სასამართლოს რეგლამენტის დამტკიცება და სხვ. პლენუმი მოიწვევა საჭიროებისამებ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

*უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა* შედგება უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ არჩეული 3 მოსამართლისგან. სადისციპლინო პალატა განიხილავს საჩივრებს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე.

## **მოსამართლეთა სამართლებრივი სტატუსი**

საერთო სასამართლოების მოსამართლეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წელი გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი და შეყვანილია იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში.

2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედებამდე, მოსამართლეთა თანამდებობაზე გამწესება ხდებოდა არანაკლებ 10 წლის ვადით, ხოლო დღევანდელი რედაქციით მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნა ხდება უვადოდ, მაგრამ კანონით შეიძლება დაწესებულ იქნეს სამწლიანი გამოსაცდელი ვადა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით.

საერთო სასამართლოს მოსამართლეს დისციპლინარული გადაცდომის ჩადენისთვის ეკისრება დისციპლინარული პასუხისმგებლობა და სახდელი. დისციპლინალური გადაცდომის სახეებია: კორუფციული სამართალდარღვევა, მოსამართლის თანამდებობისთვის შეუთავსებელი საქმიანობა, საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება და ა.შ.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება ხდება იმპიჩმენტის წესით. კონსტიტუციის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3. პარლამენტი უფლებამოსილია, შესაბამისი დასკვნის მიღების შემდეგ, სრული შემადგენლობის უმრავლესობით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობიდან გადააყენოს.

## **მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები**

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მიხედვით: მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება



მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით.

მოსამართლის ხელშეხებლობის პრინციპი კონსტიტუციაშია განმტკიცებული, დაუშვებელია მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა, დაკავება, დაპატიმრება, გაჩხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ტანხმობის გარეშე. გამონაკლისისა დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზრაურებად საქმიანობასთან (გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისა). მოსამართლეს არ შეუძლია მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში, იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი.

სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლისა და მისი ოჯახის წევრის უსაფრთხოებას. იმ შემთხვევაში თუ მოსამართლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მოსამართლისა და მისი ოჯახის წევრების დაცვას.

ასევე, საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან ამ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე აკრძალულია პროცესის მონაწილეთა, დაინტერესებულ პირთა და საჯარო მოსამსახურეთა მოსამართლესთან კომუნიკაცია.

ფუნქციური დამოუკიდებლობა გულისხმობს, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კანონისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე. არავის აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. მისი აზრი არ უნდა მერყეობდეს პოლიტიკური, სოციალური, მხარის ინტერესის ან კრიტიკის შიშით.